ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის

საბჭოს სხდომის

ოქმი № 8

21.07. 2016

ფაკულტეტის საბჭოს დღის წესრიგი:

1. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში აუდიტორიებისათვის პროფესორ-მასწავლებლების სახელების მინიჭება

2. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო აკრედიტებული პროგრამის სილაბუსისათვის „განვითარების ფსიქოლოგია" სათაურის შეცვლა

3. საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმაში ფორმულირების შეტანა პირველ და მეორე სემსტრში სასწავლო კურსების მონაცვლეობის შესახებ

4. სადოქტორო პროგრამებში აკადემური წერის კრედიტის აღიარებასთან დაკავშირებით

5. დოქტორანტის სწავლების გადასახადის ცვლილების დამტკიცება

6. სხვა

სხდომას ესწრებოდნენ:

დეკანი: პროფ. თამარ გაგოშიძე

ფაკულტეტის საბჭოს წევრები :

ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:

პროფესორი:

ლალი სურმანიძე

ასოცირებული პროფესორები :

მანანა მელიქიშვილი, ანასტასია ქიტიაშვილი, თამარ აბაშიძე, იამზე კუტალაძე, გიორგი გოროშიძე, მაია მესტვირიშვილი, ხათუნა მარწყვიშვილი

ასისტენტ პროფესორები: ირინა ჟვანია, ლია ჩხიკვიშვილი, ნინო ლაბარტყავა, შორენა მამუკაძე, მარინა ჯაღიაშვილი

განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:

პროფესორი: ქეთევან ჭკუასელი;

ასოცირებული პროფესორი :

იზაბელა პეტრიაშვილი, რუსუდან სანაძე

ასისტენტ პროფესორი:

ზაქარია ქიტიაშვილი

სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები:

ფსიქოლოგიის მიმართულება :

ნიკოლოზ გოძიაშვილი

სალომე თოფურია

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდა სულ 20 წევრი

განიხილეს:

1. **ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში აუდიტორიებისათვის პროფესორ-მასწავლებლების სახელების მინიჭების საკითხი**

ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ ფაკულტეტის საბჭოს მოახსენა, ინიციატივის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ადმინისტრაციულ მესამე კორპუსში აუდიტორიებისათვის ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის მეცნიერებებში მოღვაწე ამაგდარი მეცნიერების სახელის მინიჭებას. მომხსენებელმა საბჭოს შესთავაზა ორივე დარგის წარმომადგენლებთან კონსულტაციების შედეგად შედგენილი სია:

1) პროფესორ რევაზ ნათაძის სახელობის აუდიტორია (# 204)

2) პროფესორ გივი ქირიას სახელობის ფსიქოლოგიის ლაბორატორია (2 ერთეული) (#207-208)

3) პროფესორ ჯემალ ყვავილაშვილის სახელობის აუდიტორია (#301)

4) პროფესორ შალვა აბზიანიძის სახელობის აუდიტორია (#304)

5) პროფესორ ივანე ჭკუასელის სახელობის აუდიტორია (#109)

6) პროფესორ გიორგი კეჩხუაშვილის სახელობის აუდიტორია (#302)

7) პროფესორ გიორგი თავზიშვილის სახელობის აუდიტორია (#106)

სთხოვა, განეხილათ აღნიშნული საკითხი.

აზრი გამოთქვეს:

ასისტენტ პროფესორმა მარინა ჯაღიაშვილმა მოახსენა საბჭოს, რომ გონივრული იქნებოდა, სიას დამატებოდა პროფესორი აკაკი ბაინდურაშვილი და ნინო ადამაშვილი, რადგან ფსიქოლოგიის მეცნიერების დარგის განვითარებისათვის მათი მეცნიერული ნაშრომები და პედაგოგიური მოღვაწეობა უდავოდ დიდ ღირებულებას წარმოადგენს.

ქესთავაზა საბჭოს წევრებს წარმოდგენილ სიას დამატებოდა პედაგოგიკის მეცნიერებაში მოღვაწე ერთ-ერთი გამოჩენილი მეცნიერის, დავით ლორთქიფანიძის გვარი.
ასოცირებულმა პროფესორმა მანანა მელიქიშვილმა აღნიშნა, რომ ნინო ადამაშვილის როლი უმნიშვნელოვანესია ბავშვის ფსიქოლოგიის განვითარებაში და კარგი იქნებოდა მისი სახელობის აუდიტორიაც ყოფილიყო.

პროფესორმა თამარ გაგოშიძემ, საბჭოს წევრებს შესთავაზა ერთ-ერთ ლაბორატორიას - 208-ს დაერქვას ჯემალ ყვავილაშვილის სახელი, ხოლო 301 აუდიტორიას დაერქვას პროფესორ ნინო ადამაშვილის სახელი. ასევე პროფესორ დავით ლორთქიფანიძის სახელი დაერქვას 306 აუდიტორიას, ხოლო პროფესორ აკაკი ბაინდურაშვილის სახელი დაერქვას 312 აუდიტორიას.

საბჭომ კენჭი უყარა შემოთავაზებულ წინადადებას და დაამტკიცა ერთხმად :

მომხრე: 20
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ კენჭისყრაზე დააყენა მე-3 კორპუსის აუდიტორიებისათვის ღვაწლმოსილი პროფესორების სახელის მინიჭების საკითხი შემდეგი შემადგენლობით:

1) პროფესორ რევაზ ნათაძის სახელობის აუდიტორია (# 204)

2) პროფესორ გივი ქირიას სახელობის ფსიქოლოგიის ლაბორატორია (#207)

3) პროფესორ ჯემალ ყვავილაშვილის სახელობის ფსიქოლოგიის ლაბორატორია (#208)

4) პროფესორ ნინო ადამაშვილის სახელობის აუდიტორია (#301)

5) პროფესორ შალვა აბზიანიძის სახელობის აუდიტორია (#304)

6) პროფესორ ივანე ჭკუასელის სახელობის აუდიტორია (#109)

7) პროფესორ გიორგი კეჩხუაშვილის სახელობის აუდიტორია (#302)

8) პროფესორ გიორგი თავზიშვილის სახელობის აუდიტორია (#106)

9) პროფესორ დავით ლორთქიფანიძის სახელობის აუდიტორია (#306)

10) პროფესორ აკაკი ბაინდურაშვილის სახელობის აუდიტორია (#312)

საბჭომ კენჭი უყარა შემოთავაზებულ წინადადებას და დაამტკიცა ერთხმად :

მომხრე: 20
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

2. „განვითარების ფსიქოლოგიის“ სილაბუსში ცვლილების შეტანა

ასოცირებულმა პროფესორმა, მანანა მელიქიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ფსიქოლოგიის საბაკალავრო აკრედიტებული პროგრამის სასწავლო სილაბუსში შეაქვს ცვლილება, კერძოდ, კურსს სახელის - „განვითარების ფსიქოლოგია1“, „განვითარების ფსიქოლოგია 2“ - ნაცვლად დაერქმევა „ადამიანის განვითარება 1“, „ადამიანის განვითარება 2“.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ ცვლილებას და დაამტკიცა ერთხმად :

მომხრე: 20
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

3. საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმაში ფორმულირების შეტანა პირველ და მეორე სემსტრში სასწავლო კურესების მონაცვლეობის შესახებ

საბჭოს თავჯდომარემ, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ ფაკულტეტის საბჭოს გააცნო, ინიციატივა, რომელიც შეეხება ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმაში პირველ და მეორე სემესტრში წასაკითხი საგნების საჭიროების შემთხვევაში მონაცვლეობის საკითხს. მისი განცხადებით, ამ ცვლილების შედეგად, პროგრამა სტუდენტებს უფრო მეტი საგნის არჩევის საშუალებას მისცემს ყოველ სემესტრულად.

აზრი გამოთქვეს:

პროფესორმა ლალი სურმანიძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი ცვლილება მეტად მნიშვნელოვანი და აუცილებელია, რაც მისცემს პროგრამის ხელმძღვანელებს საშუალებას სტუდენტებისათვის შეთავაზებული აკადემიური მომსახურება მეტად მოქნილი გახადოს.

საბჭომ კენჭი უყარა შემოთავაზებულ წინადადებას და დაამტკიცა ერთხმად :

მომხრე: 20
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

4. სადოქტორო პროგრამებში აკადემური წერის კრედიტის აღიარებასთან დაკავშირებით.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა მანანა მელიქიშვილმა ფაკულტეტის საბჭოს გააცნო ინიციატივა, რომლის მიხედვით სადოქტორო პროგრამებში აკადემიური წერის სავალდებულო კრედიტს დაემატოს ჩანაწერი საგნები „კვლევითი მეთოდები“ და „კვლევითი პროექტი“. შესაბამისად, ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთის გავლა წინა - სამაგისტრო- საფეხურზე ჩაეთვალოს დოქტორანტს შესაბამის 5 კრედიტად. ეს შესწორება, მომხსენებლის აზრით, ხელს შეუწყობს სადოქტორო პროგრამაში სავალდებულო კრედიტების დაგროვება-აღიარების საკითხს. უნდა აღინიშნოს, რომ ფსიქოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის არც ერთ სამაგისტრო პროგრამაზე არ იკითხება აკადემიური წერა, რადგან სტუდენტებს გავლილი აქვთ აღნიშნული კურსი საბაკალავრო დონეზე. ამავე დროს, იმ დოქტორანტებს, ვისაც არ აქვს აღებული აკადემიური წერის სავალდებულო კურსი, სამაგისტრო კურსები „კვლევითი პროექტი“ და „კვლევის მეთოდები“

ეიძლება ჩაეთვალოს კრედიტად, რადგან ამ კურსებში მაგისტრები კომპლექსურად სწავლობენ როგორც კვლევის მეთოდოლოგიას, ასევე მის წერილობით გაფორმებას.

აზრი გამოთქვეს:

სადისერტაციო საბჭოს თავჯდომარემ, ანასტასია ქიტიაშვილმა განაცხადა, რომ წარმოდგენილი ცვლილება უკვე შეტანილია სადოქტორო დებულებაში და ფაკულტეტის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უფრო გაამყარებს ამ ნორმას.

საბჭომ კენჭი უყარა შემოთავაზებულ ცვლილებას და დაამტკიცა ერთხმად :

მომხრე: 20
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

5. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დოქტორანტების სწავლების გადასახადის საკითხი.

ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ ფაკულტეტის საბჭოს განუცხადა, რომ წინა სხდომებზე დოქტორანტების სწავლის გადასახადის შესახებ დასმული საკითხთან დაკავშირებით ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭომ იმსჯელა და წარმოადგინა **დოქტორანტების სწავლების გადასახადის შესახებ ცვლილება, რომელიც გულისხმობს შემდეგს:**

ა) 2016-2017 სასწავლო წელს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებს განესაზღვროთ სწავლის გადასახადი სრული ოდენობით - 2250 ლარი;

ბ) წინა წლებში ჩარიცხული დოქტორანტებისათვის 6 სემესტრის განმავლობაში გადასახადი დარჩეს უცვლელი. 2016-2017 სასწავლო წელს დამატებითი სემესტრის აღების შემთხვევაში განესაზღვროთ ამჟამად ხელშეკრულებით დადგენილი ტარიფის გაორმაგებული ოდენობა, (მაგ., ფსიქოლოგიის დეპარტამენტის დოქტორანტების გადასახადი ი ქნება 500 ლარი 250 ლარის ნაცვლად.

ცვლილების მეორე პუნქტთან დაკავშირებით, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ ხაზი გაუსვა ფაკულტეტზე სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სწავლის შეჩერებისა და დამატებითი სემესტრის აღების ტენდენციას, რაც მისი აზრით, უარყოფითად აისახება ფაკულტეტის სამეცნიერო მუშაობის პროცესზე. შესაბამისად, უდავოდ მართებულია, დოქტორანტს შეუწყდეს გადასახადის საშეღავათო ტარიფი.

სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა ანი ქიტიაშვილმა აღნიშნა, რომ წინა სასწავლო წლებში ჩარიცხული დოქტორანტებისათვის არაფერი შეიცვლება, გარდა ერთისა, რომ 2016-17 სასწავლო წელს დამატებითი სემესტრის აღების მსურველი გადაიხდის უკვე დადგენილი თანხის გაორმაგებულ რაოდენობას, ხოლო ვისაც უკვე აღებული აქვს დამატებითი სემესტრი, მათ გადასახადის ცვლილება არ შეეხებათ.

საბჭომ კენჭი უყარა შემოთავაზებულ წინადადებას და დაამტკიცა ერთხმად :

მომხრე: 20
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

სხვა:

6. ასოცირებულ პროფესორ გიორგი გოროშიძის ინიციატივა

ქრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის“ ინსტიტუტის ასოცირებულმა პროფესორმა, „ორგანიზაციული ფსიქოლოგიის“ მიმართულების ხელმძღვანელმა გიორგი გოროშიძემ საბჭოს მიმართა ინიციატივით ხსენებული მიმართულების ხელმძღვანელის სტატუსის ამაღლების საჭიროების შესახებ. მან აღნიშნა, რომ ხსენებული ხელმძღვანელის უფლებამოსილების გაზრდა უკეთ მოემსახურება მიმართულების განვითარების ამოცანებს. ბატონი გიორგი თვლის, რომ „შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის“ ინსტიტუტში ტრადიციულად ადგილი აქვს მხოლოდ მასში შემავალი მეორე მიმართულების - „ადამიანური რესურსების მართვა“ - განვითარების ხელშეწყობას.

<u>აზრი გამოთქვეს:</u>

თ. გაგოშიძემ აღნიშნა, რომ ასე საკითხის დაყენება არაა მართებული, რადგან ადამიანური რესურსების მენეჯმენტის ხელმძღვანელი თავისი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებით, საკუთარი საექსპერტო გამოცდილებით თვითონ უწყობს ხელს მიმართულების განვითარებას. მისი პროგრამების კურსდამთავრებულები წარმატებით მოღვაწეობენ სხვადასხვა ორგანიზაციებში, ხოლო სამაგისტრო პროგრამაზე ყველაზე დიდი კონკურსია. მიმართულების განვითარების კრიტერიუმია სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების არსებობა, ახალგაზრდა კადრების გაწვრთნა და სამეცნიერო კვლევების ორგანიზებაა. ჯერ უნდა არსებობდეს პროგრამა და შემდეგ მას უნდა დაეფუძნოს მიმართულების განვითარების უზრუნველყოფის ფუნქცია. სწორედ ამის ორგანიზებაზე უნდა იყოს გადატანილი მთელი ყურადღება. ქ. ჭკუასელმა, ზ,. ქიტიაშვილმა, მ. კაკიაშვილმა და მ. მელიქიშვილმა ითხოვეს წარმოდგენილ წინადადებაში მეტი სიცხადის შეტანა, რომ საბჭოს უფრო გაუადვილდეს თავისი პოზიციის გამოხატვა.

<u>დაადგინეს:</u>

სხდომაზე განვითარებული მსჯელობის საფუძველზე საბჭომ ერთხმად დაადგინა, რომ „შრომისა და ორგანიზაციული“ ფსიქოლოგიის ასოცირებულ პროფესორს გიორგი გოროშიძეს საბჭოზე მის მიერ გამოტანილი წინადადების („მიმართულების ხელმძღვანელის უფლებამოსილების გაზრდის შესახებ“) საპასუხოდ შეექმნას სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების შემუშავებისთვის და ფაკულტეტის საბჭოზე დასამტკიცებლად მათი წარმოდგენისთვის ხელშემწყობი გარემო მაგისტრატურაში მისაღები სტუდენტების კვოტის უზრუნველყოფასთან ერთად. შესაბამისი პროგრამის შემუშავებისათვის გ. გოროშიძეს მიეცეს ვადა მიმდინარე წლის დეკემბრამდე.

მომხრე: 20
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

დაადგინეს:

1. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში მიენიჭოს შესაბამის აუდიტორიებს ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის მეცნიერებაში მოღვაწე პროფესორ-მასწავლებლების სახელები.
2. აკრედიტებული პროგრამის სასწავლო სილაბუსებს - „განვითარების ფსიქოლიგია 1“ , „განვითარების ფსიქოლოგია 2“ - შეეცვალოს დასახელება შემდეგნაირად - „ადამიანის განვითარება 1“, „ადამიანის განვითარება 2“

. შესაძლებელი იყოს, საჭიროების შემთხვევაში, საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმაში პირველ და მეორე სემსტრში წასაკითხი სასწავლო კურესების მონაცვლეობა.

4. სადოქტორო პროგრამებში აკადემიური წერის სავალდებულო კრედიტის აღიარებას დაემატოს ჩანაწერი „კვლევითი მეთოდები“ და „კვლევითი პროექტები“.

5. დოქტორანტების დაფინანსების წესის შესახებ ცვლილება:

   ა) 2016-2017 სასწავლო წელს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებს განესაზღვროთ სწავლის გადასახადი სრული ოდენობით - 2250 ლარით;

   ბ) დამატებით სემესტრში მყოფი დოქტორანტების სწავლის გადასახადი მე-7 და ყოველი შემდეგი სემესტრისთვის განისაზღვროს სემესტრში 500 ლარის, შესაბამისად, წელიწადში - 1000 ლარის ოდენობით.

6. „შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის“ ინსტიტუტის ასოცირებულ პროფესორს გიორგი გოროშიძეს შეექმნას სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების შემუშავებისთვის და ფაკულტეტის საბჭოზე დასამტკიცებლად მათი წარმოდგენისთვის ხელშემწყობი გარემო მაგისტრატურაში მისაღები სტუდენტების კვოტის უზრუნველყოფის გათვალისწინებით. შესაბამისი პროგრამის შემუშავებისათვის გ. გოროშიძეს მიეცეს ვადა მიმდინარე წლის დეკემბრამდე.

სხდომის თავმჯდომარე: პროფესორი

თამარ გაგოშიძე

/ /

სხდომის მდივანი: ასისტენტ

პროფესორი ზაქარია ქიტიაშვილი

/ /

21.07. 2016